

ქ. ბათუმი \_\_\_\_\_ 20\_\_ წ.

გ. Батуми \_\_\_\_\_ 20\_\_ г.

ერთი მხრივ, შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“, შემდგომში წოდებული, როგორც „დამკვეთი“, (ს/კ 245432544) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის \*\*\*\*\*, სახით, რომელიც მოქმედებს კომპანიის წესდების საფუძველზე და მეორე მხრივ, \*\*\*\*\*, წარმოდგენილი დირექტორის \*\*\*\*\*, სახით, შემდგომში წოდებული, როგორც „შემსრულებელი“, ერთობლივად წოდებულნი როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე როგორც „მხარე“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“) და ვთანხმდებით შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს სანატორიულ-საკურორტო დასვენება (შემდგომში - მომსახურება) დამკვეთის დასაქმებულებისთვის (შემდგომში - დამსვენებლები), რაც ფორმდება „საგზურით“ (ხელშეკრულების დანართი #1-ის შესაბამისად), ხოლო დამკვეთი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით.
- 1.2. «დამსვენებელთა» გამგზავრება ხორციელდება დანართი №2-ით განსაზღვრული განრიგისა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით.
- 1.3. დამსვენებლების საერთო რაოდენობა შეადგენს \*\*\* (რაოდენობა სიტყვიერად) ადამიანს, ხოლო დასვენების ხანგრძლივობა ერთ დამსვენებელზე შეადგენს 10 (ათი) დღეს.
- 1.4. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 ქვეპუნქტი მითითებული მომსახურების ღირებულებაში შედის:
  - დამსვენებლების განთავსება სასტუმროში \*\*\*\*\*, 2-ადგილიან კეთილმოწყობილ სასტუმროს ნომერში განცალკევებული საწოლებით;
  - ყოველდღიური სამჯერადი კვება;
  - მკურნალობა წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №3-ით განსაზღვრული სამკურნალო პაკეტის ჩამონათვალისა და რაოდენობების შესაბამისად.
  - \*\*\*\*\* (ივსება დამატებითი მომსახურების შეთავაზების შემთხვევაში)
- 1.5. მომსახურების გაწევის ადგილი: (კურორტის დასახელება და მომსახურების გაწევის ადგილის მისამართი).

ООО «Батумский Нефтяной Терминал», именуемое в дальнейшем «Заказчик» (и/к 245432544), в лице Генерального директора \*\*\*\*\*, действующего на основании Устава компании с одной стороны, и \*\*\*\*\*, в лице директора \*\*\*\*\*, именуемое в дальнейшем «Исполнитель» с другой стороны, в дальнейшем совместно именуемые как «Стороны» и по отдельности «Сторона», в соответствии с законодательством Грузии, заключаем настоящий Договор на оказание Услуг (далее «Договор») и соглашаемся о нижеследующем:

### 1. Предмет Договора

- 1.1. По настоящему договору Исполнитель обязуется предоставить санаторно-курортный отдых (далее - Услуги) для работников Заказчика (далее - Отдыхающие), оформленные «Путевками» (согласно приложению #1 Договора), а Заказчик обязуется оплатить стоимость Услуг на условиях, определенных настоящим Договором.
- 1.2. Отправка «Отдыхающих» осуществляется согласно графику, указанному в Приложении №2, и на условиях, предусмотренных настоящим Договором.
- 1.3. Общее количество Отдыхающих составляет \*\*\* (количество прописью) человек, а продолжительность отдыха на одного Отдыхающего составляет 10 (десять) дней.
- 1.4. В стоимость Услуг указанных в п.п. 1.1 входит:
  - Проживание Отдыхающих в гостинице «\*\*\*\*» в благоустроенном 2-х местном гостиничном номере с отдельными кроватями;
  - Ежедневное трехразовое питание;
  - Лечение в соответствии с перечнем и количеством лечебного пакета, определенного Приложением №3 к настоящему Договору.
  - \*\*\*\*\* (Заполняется в случае, если предлагаются дополнительные услуги)
- 1.5. Место оказания Услуг: (название курорта и адрес оказания услуг).

1.6. მომსახურების გაწევის ვადები: 00.00.0000 წ.-დან არაუგვიანეს 00.00.0000 წ. პერიოდი.

## 2. მომსახურების გაწევის წესი

2.1. შემსრულებელი უზრუნველყოფს მომსახურებას მომხმარებლის წინასწარი განაცხადის საფუძველზე, სადაც მითითებულია დამსვენებლების რაოდენობა მათი სახელების და გვარების და დასვენების პერიოდის მითითებით.

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება/შეთანხმება იწარმოებს მხარეთა შორის შეთანხმებულ ელ. ფოსტის მეშვეობით, შემდეგ მისამართებზე: **დამკვეთის მხრიდან: სახელი, გვარი (ელ. ფოსტის მისამართი), ხოლო შემსრულებლის მხრიდან: სახელი, გვარი (ელ. ფოსტის მისამართი).**

2.3. შემსრულებლის განაცხადის საფუძველზე, კონტრაქტორი უზრუნველყოფს სათანადო ადგილებს საცხოვრებლად.

2.4. დამსვენებლის დაგვიანებით (წინასწარი თანხმობის გარეშე) ჩამოსვლის შემთხვევაში, დაგვიანების დღეები არ აღდგება და არ ანაზღაურდება საცხოვრებელი, კვება და მკურნალობა.

2.5. სასტუმროში შესვლის დრო იწყება 00:00 საათზე, ხოლო გასვლა 00:00 საათზე.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება ერთ დამსვენებელზე შეადგენს \*\*\*\* (თანხა სიტყვიერად) დღ-ის ჩათვლით, ხოლო ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ჯამურად \*\*\*\* (თანხა სიტყვიერად) ლარს, დღ-ის ჩათვლით.

3.2. მომსახურების ღირებულების გადახდა იწარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით, შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე შემდეგი წესით:

3.2.1. შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი ინვოისის თარიღიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში დამკვეთი შემსრულებელს გადაუხდის ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 30%-ს წინასწარ, საავანსო გადახდის სახით.

3.2.2. მხარეთა მიერ საბოლოო ანგარიშსწორება იწარმოებს მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ, 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში, შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი ინვოისის საფუძველზე.

1.6. Сроки оказания Услуг: период с 00.00.0000 г. не позднее 00.00.0000 г.

## 2. Порядок предоставления услуг

2.1. Исполнитель предоставляет Услуги по предварительной заявке Заказчика, где указывается количество Отдыхающих с указанием их имен и фамилий и даты отдыха.

2.2. Предоставление/согласование информации, предусмотренного п.п. 2.1. Договора осуществляется посредством электронной почты, согласованной между сторонами, по следующими адресами: **со стороны Заказчика: имя, фамилия (адрес электронной почты) со стороны Исполнителя: имя, фамилия (адрес электронной почты).**

2.3. На основании Заявки Заказчика Исполнитель обеспечивает соответствующие места для размещения.

2.4. В случае несвоевременного заезда Отдыхающего (без предварительного согласования), дни опоздания не восстанавливаются и стоимость проживания, питания и лечения не возмещаются.

2.5. Время заселения в гостинице начинается с 00:00 ч., а выезд в 00:00 ч..

## 3. Стоимость Договора и порядок оплаты

3.1. Стоимость Услуг, предусмотренная настоящим Договором на одного Отдыхающего, составляет \*\*\*\* (сумма прописью) лари с учетом НДС, а общая стоимость Договора составляет \*\*\*\* (сумма прописью) лари с учетом НДС.

3.2. Оплата стоимости Услуг производится в национальной валюте, безналичным расчетом, на указанный в Договоре банковский счет Исполнителя следующим образом:

3.2.1. Предоплата в виде аванса в размере 30% от общей стоимости Договора вносится Заказчиком в течение 10 (десяти) банковских дней с даты выставления Исполнителем инвойса.

3.2.2. Окончательный расчет производится сторонами после подписания акта приема-передачи Услуг, в течение 5 (пяти) банковских дней на основании выставленного Исполнителем инвойса.

3.3. მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველო კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ცვლილების შემთხვევაში, შეიტანონ შესაბამისი ცვლილება ხელშეკრულების 3.1. პუნქტში, დამატებითი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

#### **4. მხარეთა განცხადებები და გარანტიები**

##### **4.1. თითოეული მხარე იძლევა გარანტიას და აცხადებს, რომ:**

4.1.1. წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებულ, უფლებაუნარიან იურიდიულ პირს და ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ სამეწარმეო საქმიანობას;

4.1.2. გააჩნია იურიდიული უფლებამოსილება, იკისროს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და მიიღონ ყველა საჭირო ზომა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და შესრულების მიზნით;

4.1.3. წინამდებარე ხელშეკრულება ხელმოწერილია შესაბამისი წესით მხარეების მიერ და წარმოადგენს მხარეებისთვის იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტს.

##### **4.2. შემსრულებელი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:**

4.2.1. მომსახურება შესრულდება კეთილსინდისიერად, სრულად და ჯეროვნად;

4.2.2. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტში მითითებული მომსახურების ღირებულება საბოლოოა და უცვლელია ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.

##### **4.3. დამკვეთი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:**

4.3.1. წარმოადგენს გადახდისუნარიან პირს, რომლის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარიანობის საქმისწარმოება, ლიკვიდაციის პროცესი, ან/და არ არსებობს სხვა სახის გარემოება, რომელიც ხელს შეუშლის მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;

4.3.2. ხელშეკრულების დადების თარიღისათვის მისთვის არ არის ცნობილი ფორს-მაჟორის არსებობის შესახებ, რომელიც შეუძლებელს გახდის მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვადამოსული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას.

3.3. Стороны соглашаются, что в случае изменений в налогах, предусмотренных законодательством Грузии, внести соответствующие изменения в пункт 3.1. Договора на основании подписанного Сторонами дополнительного соглашения к Договору, являющегося в будущем неотъемлемой частью Договора.

#### **4. Заявления и гарантии сторон**

##### **4.1. Каждая сторона дает гарантию и заявляет, что:**

4.1.1. Является юридическим лицом, зарегистрированным в соответствии с законодательством Грузии, и осуществляет предпринимательскую деятельность, разрешенную законодательством Грузии;

4.1.2. Имеет законные полномочия принимать на себя обязательства по настоящему Договору и принимать все необходимые меры для вступления в силу и выполнения настоящего Договора;

4.1.3. Настоящий Договор подписан сторонами надлежащим образом и является юридически обязательным документом для сторон.

##### **4.2. Исполнитель заявляет и гарантирует, что:**

4.2.1. Услуги будут оказаны добросовестно, в полном объеме и надлежащим образом;

4.2.2. Стоимость Услуг, указанная в пункте 1.1 настоящего Договора, является окончательной и неизменной в течение срока действия Договора.

##### **4.3. Заказчик заявляет и гарантирует, что:**

4.3.1. Является платежеспособным лицом, в отношении которого не ведется производство по делу о неплатежеспособности, ликвидационный процесс и/или отсутствуют иные обстоятельства, которые препятствовали бы полному и надлежащему выполнению обязательств, взятых на себя сторонами по Договору;

4.3.2. На дату заключения Договора ему неизвестно о существовании форс-мажорных обстоятельств, которые сделают невозможными полное и надлежащее выполнение сторонами обязательств по Договору, срок которых наступил.

4.3.3. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებას დებენ ზემოთ მითითებულ განცხადებებსა და გარანტიებზე დაყრდნობით, ხოლო გარანტიების დარღვევა წარმოადგენს მხარის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველს.

## 5. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

### 5.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას:

5.1.1. უზრუნველყოს დამსვენებელთა განთავსება შეთანხმებულ ვადაში, წინასწარ დაჯავშნილ, შესაბამისი კატეგორიის სასტუმრო ნომრებში;

5.1.2. მიაწოდოს დამკვეთს მომსახურების შესახებ სრული და საჭირო ინფორმაცია, ასევე გააცნოს სასტუმროში შესვლის და გამოსვლის ზუსტი დრო.

5.1.3. გაუწიოს დამსვენებლებს ხარისხიანი მომსახურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

5.1.4. მომსახურება განახორციელოს იმდაგვარად, რომ მას არ ჰქონდეს ისეთი ხარვეზები, რაც გააუფასურებს ან შეამცირებს მომსახურების მნიშვნელობას ჩვეულებრივი მიზნებისათვის.

5.1.5. დროულად შეატყობინოს დამკვეთს შესაბამისი რაოდენობის ნომრების არარსებობის ან სხვა ისეთი გარემოების შესახებ, რაც დამკვეთის მოთხოვნის შესრულებას შეუძლებელს ხდის.

5.1.6. მომსახურების შესრულების ადგილას დაიცვას მომსახურების სფეროში მოქმედი სტანდარტები, უსაფრთხოების მოთხოვნები და ნორმები, რათა თავიდან აიცილოს დამსვენებლის ქონების და/ან ჯამრთელობის დაზიანება, რამაც შესაძლოა წარმოშვას მატერიალური და/ან არამატერიალური პასუხისმგებლობა.

### 5.2. დამკვეთი იღებს ვალდებულებას:

5.2.1. შემსრულებელთან წინასწარ შეათანხმოს სასტუმროში \*\*\*\* დამსვენებელთა გამგზავრებისა და მომსახურების გაწევის ვადები.

5.2.2. მომსახურების მიღებამდე არა უგვიანეს სამი დღით ადრე, ელექტრონული ფოსტის საშუალებით აცნობოს შემსრულებელს დამსვენებელთა ზუსტი რაოდენობა.

5.2.3. თუ დადგება ისეთი გარემოებები, რომლებიც აფერხებს, ან შემდგომში შეუძლებელს ხდის დამსვენებლის გამგზავრებას მომსახურების მიღების მიზნით, დაუყოვნებლივ, გამგზავრებამდე არაუგვიანეს 24 საათისა წერილობით ელ. ფოსტის საშუალებით აცნობოს ამის შესახებ შემსრულებელს.

4.3.3. Стороны признают и соглашаются с тем, что они заключают Договор на основании вышеуказанных заявлений и гарантий, и нарушение гарантий является основанием для одностороннего расторжения Договора стороной.

## 5. Права и обязанности сторон

### 5.1. Исполнитель обязуется:

5.1.1. Обеспечить размещение Отдыхающих в заранее забронированных гостиничных номерах соответствующей категории в течение согласованного срока;

5.1.2. предоставить Заказчику полную и необходимую информацию об Услугах, а также указать точное время заезда в отель и выезда из него.

5.1.3. Предоставлять отдыхающим качественные Услуги на условиях, предусмотренных настоящим Договором;

5.1.4. Предоставлять Услуги таким образом, чтобы в ней не было таких недостатков, которые могли бы обесценить или уменьшить важность Услуг для обычных целей.

5.1.5. Своевременно уведомлять Заказчика об отсутствии соответствующих номеров или других обстоятельствах, делающих невозможным выполнение запроса Заказчика.

5.1.6. Соблюдать применимые стандарты, требования безопасности и нормы в сфере обслуживания на месте оказания Услуг с целью предотвращения причинения ущерба имуществу и/или здоровью Отдыхающего, который может повлечь за собой материальную и/или нематериальную ответственность.

### 5.2. Заказчик обязуется:

5.2.1. Заранее согласовывать с Исполнителем сроки въезда и обслуживания Отдыхающих в гостинице \*\*\*\*.

5.2.2. Не позднее, чем за три дня до получения Услуги, уведомить Исполнителя по электронной почте о точном количестве Отдыхающих.

5.2.3. Если возникли обстоятельства, которые препятствуют или впоследствии делают невозможным выезд Отдыхающего с целью получения Услуги, немедленно, не позднее, чем за 24 часа до выезда, уведомить Исполнителя об этом по электронной почте.

5.2.4. მხარეები ვალდებული არიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დასრულების შემდეგ არა უგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა გააფორმონ მიღება-ჩაბარების აქტი.

### 5.3. შემსრულებელი უფლებამოსილია:

5.3.1. მოითხოვოს მის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად;

5.3.2. გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

### 5.4. დამკვეთი უფლებამოსილია:

5.4.1. მომსახურების შესრულების პერიოდში ნებისმიერ დროს, შეამოწმოს მომსახურების გაწევის მიმდინარეობა და მიიღოს ყველა საჭირო ინფორმაცია მომსახურების მიმდინარეობის შესახებ;

5.4.2. შეცვალოს დამსვენებლის გამგზავრების თარიღი ან ჩაანაცვლოს იგი სხვა დამსვენებლით, წინამდებარე ხელშეკრულების 5.2.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში.

5.4.3. დამკვეთი იტოვებს უფლებას, არ გადაუხადოს შემსრულებელს იმაზე მეტი, რაც განსაზღვრულია/გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, რაზედაც შემსრულებელი თანახმაა და ადასტურებს, რომ არ აქვს და არც მომავალში ექნება, რაიმე სახის მოთხოვნა ან/და პრეტენზია, დამკვეთის მიმართ.

5.4.4. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შეადგინოს შესაბამისი აქტი და მოსთხოვოს შემსრულებელს მისი დადგენილ ვადებში აღმოფხვრა.

## 6. მხარეთა მატერიალური პასუხისმგებლობა

6.1. შემსრულებლის მხრიდან მომსახურების გაწევის ვადების დარღვევის შემთხვევაში ან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების არაჯეროვნად შესრულებისას, შემსრულებელი დამკვეთს უხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე, რაც არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

6.2. მხარეთა მიერ შედგენილ აქტში მითითებულ ვადებში ნაკლის აღმოფხვრელობის შემთხვევაში, შემსრულებელი უხდის დამკვეთს პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

5.2.4. Стороны обязаны оформить акт приема-сдачи услуг не позднее, чем через 10 (десять) календарных дней после завершения оказания Услуг по Договору.

### 5.3. Исполнитель вправе:

5.3.1. Потребовать возмещения стоимости предоставленных им Услуг в соответствии с условиями настоящего Договора;

5.3.2. Использовать права, предоставленные ему настоящим Договором и законодательством.

### 5.4. Заказчик вправе:

5.4.1. В любое время в течение периода предоставления Услуг проверять ход предоставления Услуг и получать всю необходимую информацию о ходе предоставления Услуг;

5.4.2. Изменить даты прибытия Отдыхающего для, получения Услуг, либо замены запланированного Отдыхающего по путевке на другого Отдыхающего в случае наступления условий, предусмотренных пунктом 5.2.3 Договора;

5.4.3. Заказчик оставляет за собой право не платить Исполнителю больше того, что определено/предусмотрено в настоящем Договоре, с чем Исполнитель соглашается и подтверждает, что у него нет и не будет никаких претензий к Заказчику в будущем.

5.4.4. В случае оказания Услуг, предоставленных настоящим Договором ненадлежащим образом, составить соответствующий акт, и потребовать от Исполнителя устранить его в установленные сроки.

## 6. Материальная ответственность сторон

6.1. В случае нарушения Исполнителем сроков оказания Услуг или ненадлежащего оказания Услуг, определенного настоящим Договором, Исполнитель уплачивает Заказчику неустойку в размере 0,1% от стоимости Договора за каждый день просрочки, но не более 10% от стоимости Договора.

6.2. При несвоевременном устранении недостатков, предусмотренных актом Сторон, фиксирующим актом Исполнитель уплачивает Заказчику штраф в размере 10 % от стоимости Договора.

- 6.3. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, დამკვეთი უხდის შემსრულებელს პირგასამტეხლოს 0,1%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 10%-სა.
- 6.4. პირგასამტეხლოს (ჯარიმა, საურავი) გადახდა, აგრეთვე ზარალის ანაზღაურება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 6.5. მხარის მიერ პირგასამტეხლოს (ჯარიმა, საურავი) გადასახდელად წარდგენილი ანგარიში ჩაიდება ურთიერთანგარიშსწორების შედარების აქტში, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებისა და პირგასამტეხლოს (ჯარიმა, საურავი) გადახდის შემხვედრი ერთგვაროვანი მოთხოვნების ჩათვლის მიზნით.
- 6.6. დამკვეთს უფლება აქვს პირგასამტეხლოს თანხა დაუკავოს შემსრულებელს, ხელშეკრულებით კუთვნილი გადასახადიდან.

## 7. დაუძლეველი ძალის გარემოებები (ფორს-მაჟორი)

- 7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივი ან სრული შეუსრულებლობის პასუხისმგებლობისაგან, თუ ის გამოწვეულია დაუძლეველი ძალის გარემოებებით (მიწისძვრა და სხვა სტიქიური უბედურება, სახელმწიფო ორგანოების მიერ ნორმატიული სამართლებრივი აქტების გამოცემა, რომლებიც კრძალავენ სამუშაოთა შესრულებას), იმ პირობით, რომ ამ გარემოებამ შეუძლებელი გახადა მხარეთა მხრიდან ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.
- 7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწვეს იმ დროის შესაბამისად, რა დროშიც ხდებოდა დაუძლეველი ძალის გარემოება, ასევე ამ გარემოებით გამოწვეული შედეგები.
- 7.3. დაუძლეველი ძალის გარემოებების წარმოქმნის შემთხვევაში ნებისმიერი მხარე ვალდებულია წარმოქმნიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს ამ გარემოებების წარმოქმნის შესახებ. არსებული გარემოებები უნდა იყოს დამტკიცებული უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს ან სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ.
- 7.4. არ შეტყობინება ან არადროული შეტყობინება ართმევს მხარეს ნებისმიერ ზემომითითებულ გარემოებაზე დაყრდნობის უფლებას, როგორც ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის საფუძველზე.
- 7.5. თუ ხელშეკრულების ვალდებულებების ნაწილობრივ ან მთლიანად შესრულება შეუძლებელი ხდება ორ თვეზე მეტი ხნის

6.3. В случае несвоевременной оплаты Услуг, согласно условиям Договора, Заказчик уплачивает Исполнителю неустойку в размере 0,1% от невыплаченной суммы по Договору за каждый день просрочки, но не более 10% от стоимости Договора.

6.4. Уплата неустойки (штрафа, пени), а также возмещение ущерба не освобождает Стороны от исполнения своих обязательств по Договору.

6.5. Счет, предъявленный стороной для оплаты неустойки (штрафа, пени), включается в акт сверки взаимных расчетов с целью проведения зачета встречных однородных требований по оплате за выполненные работы и по оплате неустойки (штрафа, пени).

6.6. Заказчик вправе удержать сумму неустойки из платежа, причитающегося Исполнителю по Договору.

## 7. Обстоятельства непреодолимой силы (Форс-мажор)

- 7.1. Стороны освобождаются от ответственности за частичное или полное неисполнение обязательств по Договору, если оно явилось следствием обстоятельств непреодолимой силы (землетрясение и другие стихийные бедствия, издание нормативных правовых актов государственными органами, запрещающих выполнение работ), при условии, что эти обстоятельства сделали невозможным исполнение любой из Сторон своих обязательств по Договору.
- 7.2. Срок исполнения обязательств по Договору отодвигается соразмерно времени, в течение которого действовали обстоятельства непреодолимой силы, а также последствия, вызванные этими обстоятельствами.
- 7.3. Любая из Сторон, при возникновении обстоятельств непреодолимой силы, обязана в течение 5-ти календарных дней с даты их возникновения, информировать другую Сторону о наступлении этих обстоятельств в письменном виде. Данные обстоятельства должны быть подтверждены уполномоченным государственным органом или Торгово-промышленной палатой.
- 7.4. Не уведомление или несвоевременное уведомление лишает Сторону права ссылаться на любое вышеуказанное обстоятельство, как на основание, освобождающее от ответственности за неисполнение обязательства по Договору.
- 7.6. Если невозможность полного или частичного исполнения обязательств Сторонами будет существовать свыше двух месяцев, то

განმავლობაში, მხარეებს უფლება აქვთ გააუქმონ ხელშეკრულება და მოახდინონ ურთიერთ ანგარიშსწორება.

## 8. კონფიდენციალურობა

8.1. ხელშეკრულებით მხარეებს შორის გადაცემული დოკუმენტაცია და ნებისმიერი ინფორმაცია არის კონფიდენციალური ხასიათის და არ უნდა იყოს მათ მიერ გამოქვეყნებული და/ან გავრცელებული საყოველთაო ცნობისათვის, აგრეთვე გადაცემული მესამე პირზე მეორე მხარესთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე, იმ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების გამოკლებით, რომელთაც გააჩნიათ ხელშეკრულების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის უფლება.

## 9. დავების გადაწყვეტის წესი

9.1. მხარეთა შორის ხელშეკრულებით წარმოქმნილი ყველა დავა და უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

9.2. მოლაპარაკების დაწყებიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

10.2. ხელშეკრულება წყდება მხარეების მიერ ვალდებულებების სრული, ჯეროვანი და დროული შესრულების შედეგად.

10.3. დამკვეთს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელშეკრულებაში მითითებულ ვადადამდე, თუ შემსრულებლის მიერ არსებითად ირღვევა ხელშეკრულების პირობები.

10.4. შემსრულებლის მიერ არსებითად ირღვევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, თუ კი:

- მომსახურების გაწევა შეჩერდება 7 კალენდარულ დღეზე მეტი, როცა შეჩერება არ იყო სანქცირებული დამკვეთის მიერ;
- ნაკლოვანებათა ამსახველ აქტებში დამკვეთის მიერ მითითებული ნაკლოვანებისა და შენიშვნების აღმოუფხვრელობა დამკვეთის მიერ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში.

Стороны будут иметь право расторгнуть Договор и произвести взаиморасчеты.

## 8. Конфиденциальность

8.1. Документация и любая информация, передаваемые Сторонами друг другу по Договору, являются конфиденциальными и не будут ими опубликовываться и/или распространяться для всеобщего сведения, а также передаваться третьим лицам без предварительного письменного согласия другой Стороны, за исключением уполномоченных государственных органов, имеющих право требовать информацию по Договору.

## 9. Порядок разрешения споров

9.1. Все споры и разногласия, возникающие между Сторонами по Договору, разрешаются путем переговоров.

9.2. В случае невозможности достижения соглашения между Сторонами путем переговоров в течение 1 (одного) календарного месяца после начала таких переговоров, споры и разногласия подлежат рассмотрению судом в соответствии с законодательством Грузии.

## 10. Срок действия Договора и порядок его прекращения

10.1. Настоящий Договор вступает в силу с даты подписания сторонами и действует до тех пор, пока стороны полностью и надлежащим образом не выполнят свои обязательства.

10.2. Договор прекращается в результате полного, надлежащего и своевременного исполнения сторонами своих обязательств.

10.3. Заказчик вправе в одностороннем порядке прекратить Договор до истечения срока, указанного в Договоре, если условия Договора существенно нарушены Исполнителем.

10.4. Условия Договора существенно нарушены Исполнителем, если:

- предоставление Услуг будет приостановлено более чем на 7 календарных дней, причем приостановка не была согласована Заказчиком;
- не устранение недостатков и замечаний, указанных Заказчиком в актах, отражающих выявленные Заказчиком недостатков в течение периода, определенного Заказчиком.

10.5. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება წყდება შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების არსებითი დარღვევის მიზეზით, დამკვეთი უხდის შემსრულებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების დარჩენილ თანხებს, ახალი შემსრულებლის შერჩევისათვის დამკვეთის ავანსისა და დანახარჯების გამოქვითვით.

10.6. ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტის შემთხვევაში, შეტყობინება შეწყვეტის შესახებ გაგზავნილ უნდა იქნას დამკვეთის მიერ შემსრულებლისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის მითითებულ ვადად არა უგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე.

## 11. ანტიკორუფციული დათქმა

11.1. წინამდებარე დათქმა ასახავს ხელშეკრულების მხარეების, მათი აფილირებული პირების, მუშაკთა და შუამავალთა ერთგულ დამოკიდებულებას ბიზნესის ღია და პატიოსნად მართვის პრინციპებისადმი, მიმართულია მითითებული პირების კორუფციულ საქმიანობაში გარევის რისკების მინიმიზაციისკენ, ასევე ხელშეკრულების მხარეების საქმიანი რეპუტაციის მაღალი დონის შენარჩუნებისაკენ.

11.2. ხელშეკრულების მხარეები ადასტურებენ, რომ ისინი უძღვებიან ლეგიტიმურ სამეურნეო საქმიანობას და გააჩნიათ დაფინანსების მხოლოდ კანონიერი წყაროები.

11.3. ხელშეკრულების მხარეები იღებენ ვალდებულებას დაიცვან, ასევე უზრუნველყონ, ხელშეკრულებით მოქმედი მათი აფილირებული პირების, მუშაკთა და შუამავალთა მიერ წინამდებარე დათქმის დაცვა და ასევე ხელი შეუწყონ ერთმანეთს მისი მოთხოვნების რეალური ან შესაძლო დარღვევების შემთხვევაში.

11.4. ხელშეკრულების მხარეები იღებენ ვალდებულებას არ ჩაიდინონ, ასევე უზრუნველყონ, რომ მათმა აფილირებულმა პირებმა, დასაქმებულებმა თუ შუამავლებმა, ხელშეკრულების შესრულების დროს პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ჩაიდინონ შემდეგი ქმედებები, კერძოდ:

11.4.1. ხელშეკრულებით მოქმედი მხარეების, მათი აფილირებული პირების, დასაქმებულთა თუ შუამავალთათვის ასარამართლობიერად უპირატესობის მიღების მიზნით, საჯარო ორგანოებზე, თანამდებობის პირებზე, მათ ახლო ნათესავებზე ან სახელმწიფო ორგანოებთან სხვაგვარად დაკავშირებულ პირებზე ფულადი სახსრების გადახდა, შეთავაზება ან სხვა ფასეულობების შეთავაზება, უსასყიდლოდ სამუშაოების (მომსახურება) შესრულება და ა.შ.

11.4.2. მასტიმულირებელი მხარის სასარგებლოდ რაიმე ქმედებების (გაუმართლებელი

10.5. Если Договор прекращается по причине существенного нарушения Договора Исполнителем, Заказчик оплачивает Исполнителю оставшиеся суммы за фактически оказанные Услуги, за вычетом авансов и издержек Заказчика на выбор нового Исполнителя.

10.6. В случае одностороннего прекращения Договора уведомление о прекращении должно быть направлено Заказчиком Исполнителю не позднее, чем за 10 (десять) календарных дней до предполагаемой даты прекращения Договора.

## 11. Антикоррупционная оговорка

11.1. Настоящая оговорка отражает приверженность Сторон Договора, их аффилированных лиц, работников и посредников принципам открытого и честного ведения бизнеса, направлена на минимизацию рисков вовлечения указанных лиц в коррупционную деятельность, а также на поддержание деловой репутации Сторон Договора на высоком уровне.

11.2. Стороны Договора подтверждают, что ведут легитимную хозяйственную деятельность и имеют только законные источники финансирования.

11.3. Стороны Договора обязуются соблюдать, а также обеспечивать соблюдение их аффилированными лицами, работниками и посредниками, действующими по Договору, настоящей оговорки, а также оказывать друг другу содействие в случае действительного или возможного нарушения ее требований.

11.4. Стороны Договора, обязуются не совершать, а также обязуются обеспечивать, чтобы их аффилированные лица, работники и посредники, не совершали прямо или косвенно следующих действий при исполнении Договора в частности:

11.4.1. Платить или предлагать уплатить денежные средства или предоставить иные ценности, безвозмездно выполнить работы (Услуги) и т.д. публичным органам, должностным лицам, лицам, которые является близким родственниками публичных органов и должностных лиц, либо лицам, иным образом, связанным с государством, в целях неправомерного получения преимуществ для Сторон Договора, их аффилированных лиц, работников или посредников, действующих по Договору.

11.4.2. Платить или предлагать уплатить денежные средства или предоставить иные ценности, безвозмездно выполнить



უპირატესობის, რაიმე გარანტიების მიცემა, არსებული პროცედურების დაჩქარება და ა.შ.) შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მეორე მხარის დასაქმებულებზე თუ მის აფილირებულ პირებზე ფულადი სახსრების გადახდა, შეთავაზება ან სხვა ფასეულობების შეთავაზება, სამუშაოების (მომსახურება) უსასყიდლოდ შესრულება და ა.შ.

- 11.4.3. არ ჩაიდინონ მოქმედი ანტიკორუფციული კანონის დარღვევი სხვა ქმედებები, რაც ასევე გულისხმობს კომერციულ მოსყიდვას და ბიზნესის მართვის სხვა კანონსაწინააღმდეგო და არამართლზომიერ საშუალებებს.
- 11.4.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მხარეს გაუჩნდება ეჭვი მომხდარი ან შესაძლო დარღვევის შესახებ, შესაბამისი მხარე იღებს ვალდებულებას აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს წერილობით და აქვს უფლება შეაჩეროს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მეორე მხრიდან წერილობითი დასტურის მიღებამდე იმის შესახებ, რომ დარღვევას ადგილი არ ჰქონია ან არ ექნება. დასტური უნდა გაიგზავნოს წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან ათი სამუშაო დღის განმავლობაში. მხარეები იღებენ ვალდებულებას ერთობლივად აწარმოონ წერილობითი და ზეპირი მოლაპარაკებები სადავო სიტუაციების დარეგულირების საკითხში.
- 11.4.5. ერთი მხარის მიერ წინამდებარე დათქმის დარღვევის მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, მეორე მხარეს აქვს უფლება ცალმხრივად გაწყვიტოს ხელშეკრულება და ამის შესახებ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.

## 12. სხვა პირობები

- 12.1. მხარეთა შორის ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც წარმოშობს ახალ ვალდებულებებსა და უფლებებს და არ არის განსაზღვრული ხელშეკრულებით, მხარეებს შორის უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, როგორც ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება. ხელშეკრულებაში მითითებული ყველა დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
- 12.2. მხარეთა შორის ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
- 12.3. შემსრულებელი იფარავს დამკვეთს ყველანაირი სარჩელისა და მუშაობის პროცესში მესამე პირის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების პრეტენზიისაგან.
- 12.4. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარესთან წერილობითი შეთანხმების გარეშე, გადასცეს ხელშეკრულებით ნაკისრი უფლებები და მოვალეობები მესამე მხარეს.

работы (Услуги) и т.д. работникам другой Стороны, ее аффилированных лиц, с целью обеспечить совершение ими каких-либо действий в пользу стимулирующей Стороны (предоставить неоправданные преимущества, предоставить какие-либо гарантии, ускорить существующие процедуры и т.д.)

- 11.4.3. Не совершать иных действий, нарушающих действующее антикоррупционное законодательство, включая коммерческий подкуп и иные противозаконные и неправомерные средства ведения бизнеса.
- 11.4.4. В случае возникновения у Стороны Договора подозрений, что произошло или может произойти нарушение каких-либо положений оговорки, соответствующая Сторона обязуется уведомить другую Сторону в письменной форме и имеет право приостановить исполнение обязательств по Договору до получения подтверждения от другой Стороны, что нарушение не произошло или не произойдет. Подтверждение должно быть направлено в течение десяти рабочих дней с даты получения письменного уведомления. Стороны обязуются совместно вести письменные и устные переговоры по урегулированию спорной ситуации.
- 11.4.5. В случае наличия подтверждений (доказательств) нарушения одной Стороной настоящей оговорки другая Сторона имеет право расторгнуть Договор в одностороннем порядке, направив письменное уведомление о расторжении.

## 12. Прочие условия

- 12.1. Любая договоренность между Сторонами, влекущая за собой новые обязательства и права, не предусмотренные Договором, должна быть оформлена Сторонами в письменной форме в виде дополнительного соглашения к Договору. Все указанные в Договоре приложения являются его неотъемлемой частью.
- 12.2. Взаимоотношения Сторон, не урегулированные Договором, регулируются законодательством Грузии.
- 12.3. Исполнитель ограждает Заказчика от исков и претензий на возмещение ущерба, понесенного третьими лицами в результате работ.
- 12.4. Ни одна из Сторон не имеет права передавать свои права и обязанности по Договору третьим лицам, без письменного согласия на то другой Стороны.

12.5. რომელიმე მხარის იურიდიული მისამართისა და სხვა რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში, ეს მხარე ვალდებულია შეცვლის მომენტიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში წერილობით აცნობოს ეს ცვლილება მეორე მხარეს.

12.6. ყველა შეტყობინება (ცნობას) ხელშეკრულების ფარგლებში მხარეები აგზავნიან ფაქსით, ტელექსით, ტელეგრაფით, შეკვეთილი წერილით ან კურიერის საშუალებით. ასეთი გზავნილის მიღების დასტურად ჩაითვლება კავშირგაბმულობის ელექტრონული საშუალების აღნიშვნა, კავშირგაბმულობის განყოფილების აღნიშვნა მოცემული შეტყობინების მიღების შესახებ ან მიმღები მხარის აღნიშვნა შეტყობინების მიღების შესახებ, კურიერის მიერ გადაცემის შემთხვევაში.

12.7. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რუსულ და ქართულ ენებზე, თითო ეგზემპლარი თითოეული მხარისათვის. ენებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტს.

### 13. მხარეთა რეკვიზიტები

დამკვეთი:

შპს “ბათუმის ნავთობტერმინალი”

ქ. ბათუმი, 6000, საქართველო, ბათუმი, წმ. სევერიან აჭარელის ქ. №4 გ.

საიდენტიფიკაციო კოდი: 245432544

სს «ხალიკ ბანკი საქართველო»

ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი 220101905

ანგარიშსწორების ანგარიში:

GE75HB000000000103608

\*\*\*\*\*

გენერალური დირექტორი

შემსრულებელი:

\*\*\*\*\*

შემსრულებლის იურიდიული მისამართი

შემსრულებლის საბანკო რეკვიზიტები:

\*\*\*\*\*

დირექტორი

12.5. В случае изменения юридического адреса и других реквизитов какой-либо Стороны, она обязана в течение 5 (пяти) рабочих дней с момента таких изменений, письменно уведомить об этом другую Сторону.

12.6. Все уведомления (сообщения) в рамках Договора Стороны направляют по факсу, телексу, телеграфу, заказным письмом или курьерской почтой. Подтверждением направления такого уведомления будет являться отметка электронного средства связи, отметка отделения связи о принятии данного уведомления или отметка Стороны-получателя о получении данного уведомления, когда оно направляется с курьером.

12.7. Договор составлен в 2-х экземплярах на грузинском и русском языках, имеющих одинаковую юридическую силу, по одному экземпляру для каждой из Сторон. В случае возникновения разногласий в языках, привилегия отдается варианту, составленному на грузинском языке.

### 13. Реквизиты Сторон

Заказчик:

ООО «Батумский нефтяной терминал»

г. Батуми, 6000, Грузия, ул. Св. Северяна

Аджарели № 4г

идентификационный код 245432544

АО “Халык Банк Грузия”

Центральный филиал, банковский код 220101 905

Расчетный счет:

GE75HB000000000103608

\*\*\*\*\*

Генеральный директор

Исполнитель:

\*\*\*\*\*

Юридический адрес Поставщика

Банковские реквизиты Поставщика:

\*\*\*\*\*

Директор

საგზური, რომელიც ივსება დამკვეთის მიერ / Путевка, которая заполняется Заказчиком

*(საგზურის ნიმუში / Образец путевки)*

დამკვეთი/ Заказчик:

შემსრულებელი/Исполнитель:

---

\*\*\*\*\*

გენერალური დირექტორი

\*\*\*\*\*

Генеральный директор

---

\*\*\*\*\*

დირექტორი

\*\*\*\*\*

директор

**კურორტ \*\*\*\*\* დამსვენებელთა გამგზავრების განრიგი /  
График отправки Отдыхающих на курорте \*\*\*\*\***

დასვენების პერიოდი / Период отдыха	ორადგილიანი ნომრის რაოდენობა / Количество двухместных номеров	დამსვენებლების რაოდენობა / Количество Отдыхающих
2025 წლის 00 ივლისი (check in 00:00) 2025 წლის 00 ივლისი (check out 00:00)  00 июля 2025 года (check in 00:00) 00 июля 2025 года (check out 00:00)	0	00
2025 წლის 00 სექტემბერი (check in 00:00) 2025 წლის 00 სექტემბერი (check out 00:00)  00 сентября 2025 года (check in 00:00) 00 сентября 2025 года (check out 00:00)	0	00
<b>ჯამი/Итого:</b>	<b>0</b>	<b>00</b>

**დამკვეთი/ Заказчик:**

**შემსრულებელი/Исполнитель:**

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\*\*\*\*\*

**გენერალური დირექტორი**

\*\*\*\*\*

**დირექტორი**

\*\*\*\*\*

**Генеральный директор**

\*\*\*\*\*

**директор**

სამკურნალო პაკეტი / Лечебный пакет

პროცედურები / Процедуры	პროცედურის რაოდენობა 10 დღის განმავლობაში /Количество процедуры в течении 10 дней
1. ექიმის კონსულტაცია და მონიტორინგი / Консультация врача и мониторинга	ყოველდღიურად / Ежедневно
2. *****	*****
3. *****	*****
4. *****	*****
5. *****	*****
6. *****	*****
7. *****	*****
8. *****	*****
9. *****	*****
10. *****	*****
11. *****	*****
12. *****	*****
13. *****	*****
14. *****	*****

დამკვეთი/ Заказчик:

შემსრულებელი/Исполнитель:

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\*\*\*\*\*

გენერალური დირექტორი

\*\*\*\*\*

დირექტორი

\*\*\*\*\*

Генеральный директор

\*\*\*\*\*

директор